

1

გინდა **#GIRLBOSS**
იყო?

ცხოვრება ხანმოკლეა. ნუ იზარმაცებ.

– მე



გინდა #GIRLBOSS-ი იყო? მაშინ ორი რამ უნდა გითხრა. პირველი: ეს ძალიან კარგია, რადგან შენ პირველი ნაბიჯი გადადგი შესანიშნავი ცხოვრებისკენ მხოლოდ სურვილის ქონით; მეორე: ეს ერთადერთი ნაბიჯია, რომელიც ამ გზაზე გაგიმარტივდება. მთავარი, რაც უნდა იცოდე, ის არის, რომ #GIRLBOSS-ობა სულაც არ არის ადვილი. დიდი შრომაა საჭირო მიზნის მისაღწევად და როცა მას მიღწევ, არსებული რეალობის შენარჩუნებაც არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ვის აშინებს რთული სამუშაო? გარწმუნებთ, მე არა და მჯერა, არც შენ. და თუ ასეა, შემიძლია გარანტია მოგცე, რომ წიგნის დასასრულს აზრს შეიცვლი და ბოლო თავის კითხვისას იყვირებ: „სად არის საქმეები? საქმე მინდა და თანაც ახლავე!“

#GIRLBOSS-ი ის არის, ვინც საკუთარ ცხოვრებას განაგებს. ის ყოველთვის იღებს სანადელს, რადგან ამისთვის ბევრს შრომობს. თუ #GIRLBOSS-ი ხარ, მაშინ საკუთარ პასუხისმგებლობებს თვალს უსწორებ. მებრძოლი ხარ — იცი, როდის უნდა მიიღო დარტყმები და როდის აიცილო. ზოგჯერ წესებს იცავ, ზოგჯერ კი არღვევ, თუმცა საკუთარ პრინციპებს არ ღალატობ. იცი, სად მიდიხარ, მაგრამ ამ გზას გართობის გარეშე ვერ გაივლი. იდეალურობას გულწრფელობა გირჩევნია. კითხვებს სვამ. ცხოვრებას სერიოზულად ეკიდები, თუმცა საკუთარ თავს მეტისმეტად სერიოზულად არ აღიქვამ. სამყაროს აკონტროლებ და მის შეცვლას ცდილობ. თესლი ტიპი ხარ.

რატომ უნდა მომისმინო?

ქალები ბუნებით არიან ანარქისტები და რევოლუციონერები.

– კიმ გორდონი

#GIRLBOSS-ობას წესები რომ ჰქონოდა (თუმცა არა აქვს), ერთ-ერთი აუცილებლად იქნებოდა ის, რომ ყველაფერში უნდა შეიტანო ეჭვი — მათ შორის, ჩემშიც. ამით კი ნამდვილად სწორ გზას დაადგები.

მე Nasty Gal-ის დამაარსებელი, აღმასრულებელი და კრეატიული დირექტორი ვარ. ეს ბიზნესი სულ რაღაც 7 წელიწადში ავანწყვე და თანაც მანამ, სანამ 30-ის გავხდებოდი. ფულიანი ოჯახი არა მყავს, არც პრესტიჟულ სკოლაში მივლია და არც მრჩეველი და დამრიგებელი ხალხი მყოლია გვერდით, რომლებიც მეტყოდნენ, რა გამეკეთებინა ცხოვრების გზაზე. ყველაფერს თვითონ მივალწე. Nasty Gal-ი ხანდახან დიდი წნეხია, თუმცა ხშირად ყველაფერი ზღაპარს ემსგავსება. ისტორია საზრიანი და თან გულუბრყვილო გოგონას შესახებ, რომელიც უცებ გამდიდრდა? არის. გულისხმიერი პრინცი? თუ ინვესტორ დენი რიმერზე ვსაუბრობთ Index Ventures-დან, მაშინ ესეც არის. ბევრი ფეხსაცმელი? არის. სირთულეები არ მადარდებს – წნეხს ვუძლებ, მაგრამ ხანდახან მიძინელება იმის დაჯერება, რომ ეს ყველაფერი მე დამემართა და თანაც ერთ ლამეში. ცუდად არ გამიგო: უპირველესად

მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ბევრ რამეში გაუმართლა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითი არ ყოფილა. წლები დამჭირდა მიზნის მისაღწევად — ფრჩხილების ქვეშ სულ ჭუჭყი მქონდა ძველ ტანსაცმელში ქექვისაგან, ძველისძველ ქალაქის ხელსაწმენდებს ქურთუკების ჯიბეებიდან ვიღებდი და რამდენჯერმე ხელიც დამინვაჯს ორთქლის უთოზე.

ცოტა ხნის წინ ვილაცამ მითხრა, ვალდებული ხარ Nasty Gal-ი იმდენად განავითარო, რამდენადაც შესაძლებელია, რადგან მისაბაძი მაგალითი ხარ იმ გოგოებისთვის, რომლებსაც საინტერესოდ ცხოვრება უნდათო. მე კი იმასაც ვერ ვხვდები, ამ ყველაფერზე რა რეაქცია უნდა მქონდეს, რადგან არასოდეს მჯეროდა მისაბაძი მაგალითების არსებობის. არ მინდა ვინმეს თავდავინწყებით ვუყვარდე. ჩემი ყურადღების დეფიციტის სინდრომის გადამკიდე მირჩევნია, სულ არეულ სიტუაციაში ვიყო და ისეთ რამეს ვაკეთებდე, რასაც ყველა ეწინააღმდეგება. არ მინდა დრო სხვის ყურებაში გაატარო, რადგან ეს საკუთარ თავს დაგავინწყებს და უკან დაგხევს. სხვისი ცხოვრების შესწავლაზე დროის ხარჯვას, ჯობს საკუთარს მიხედო. საკუთარი თავის კერპი იყო.

ჩემს ამბავს იმიტომ გიყვები, რომ დაგანახვო — წარმატების გზა სწორხაზოვანი სულაც არ არის. როგორც წიგნის დანარჩენ გვერდებზე გაიგებ, ცხოვრებას ჩემთვის დიდება არ მოუტანია: სკოლიდან გამომაგდეს, მომთაბარე ცხოვრებით ვცხოვრობდი, ვქურდობდი, საშინელი სტუდენტი და ზარმაცი თანამშრომელი ვიყავი; ბავშვობაში სულ პრობლემები მქონდა; საუკეთესო მეგობრისთვის მუცელში დარტყმით დაწყებული, იმის გამო, რომ ჩემი Play-Doh დააგდო (4 წლის ვიყავი), იმით დამთავრებული, რომ თმის ლაქი ჰაერში გავუშვი და ოჯახურ ყრი-

#GIRLBOSS

ლობაზე ცეცხლი გაგაჩინე (დამნაშავე ვარ), მე ყოველთვის საშინელი სამაგალითო ადამიანი ვიყავი. თინეიჯერობაში — მოსიარულე ღამის კომმარი, დიდობაში კი მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამონყობილი ნახევრად ბერძენი ლარი დეივიდი ვარ, რომელსაც არა აქვს უნარი დამალოს დისკომფორტი, უკმაყოფილება ან ეჭვი და საკუთარ თავთანაც კი უკიდურესად გულწრფელია.

ვცადე სრულგანაკვეთიან სამსახურში მუშაობა და პროფესიულ სასწავლებელში სიარული, თუმცა არაფერი გამომივიდა. ბავშვობაში მითხრეს, წარმატების გზა ერთმწკრივად დალაგებული ყუთებისგან შედგებაო, რომლებსთვისაც ნელ-ნელა უნდა მიგეღნია. ატესტატის აღებით დანყებულნი, სამსახურის პოვნით დამთავრებული, ყველაფერში ხელი მომეცარა. ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ უიღბლო ცხოვრებისთვის ვიყავი განწირული, მაგრამ ეჭვი მქონდა და მჯეროდა, რომ გაცილებით უფრო მეტი რამის მიღწევა შემეძლო.

ეს რამე Nasty Gal-ი აღმოჩნდა, მაგრამ იცი, რა? Nasty Gal-ი გზაზე კი არ მიპოვია, თავად შევექმენი.

უარი თქვი ყველა იმ ჩვევაზე, რომლებმაც შეიძლება შეგაფერხოს. ისწავლე საკუთარი შესაძლებლობების შექმნა. დაიმახსოვრე, რომ ფინიშის ხაზი არ არსებობს. ბედისწერას ქმედება სჭირდება. თავდაუზოგავად უნდა იშრომო იმ არაჩვეულებრივი ცხოვრების მისაღწევად, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდი, ან ჯერ იმის დროც კი არ გქონია, რომ მასზე გეოცნება.

მოემზადე იმ უამრავი სახალისო თავგადასავლისთვის, რომლებიც გზად შეგხვდება.

ამ წიგნს #GIRLBOSS-ი ჰქვია.

გგონია, ეს ფემინისტური მანიფესტია?

ოჰ, ღმერთო, მგონი, ამ ყველაფერზე უნდა ვილაპარაკოთ.

#GIRLBOSS-ი ფემინისტური წიგნია, Nasty Gal-ი კი ფემინისტური კომპანია, ოღონდ მხოლოდ იმ კუთხით, რომ მე გამხნევებ შენ, როგორც გოგოს, რომ იყო ის, ვინც გინდა, და საკუთარი სურვილების მიხედვით იმოქმედო. თუმცა აქ იმისთვის არა ვარ, რომ ფემინისტი გეძახო და კაცები დავადანაშაულო ყველა პრობლემისთვის, რომლებიც შეგექმნება.

არასოდეს მიფიქრია, რომ გოგოობა ისეთი რამ იყო, რაც უნდა დამეძლია. დედაჩემს ბავშვობაში საჭმლის მომზადება და სახლის დალაგება უწევდა მაშინ, როცა მისი ძმები ცხოვრებით ტკბებოდნენ. ამიტომ დედაჩემისთვის რომ გეკითხათ, გოგოდ რომ დაიბადა, ნამდვილად არახელსაყრელი რამ იყო. მე კი, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი მშობლები სრულ განაკვეთზე მუშაობდნენ და არც და-ძმა მყავს, ეს არასოდეს მიგრძნია. ქალების არაერთი თაობა იმ უფლებებისთვის იბრძოდა, რაც მე მზამზარეულად მერგო, მსოფლიოს სხვა მხარეებში ეს წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ჩემი აზრით, საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ უფლებებისთვის მებრძოლი ქალების წარსულსა და მომავალს პატივი ვცეთ, ის არის, რომ ჩვენი წყეული საქმე ვაკეთოთ. იმის მაგივრად, დაფუძე და იმაზე გელაპარაკო, რამდენად და რა მადარდებს, ვაპირებ ამ საკითხს სახე გავაძრო და დავამტკიცო.

ჩემი პირველი რეაქცია ცხოვრების თითქმის ყველა გამოწვევაზე უარია. მთლიანად რომ შევიგრძნო და დავაფასო მოვლენები, უპირველესად ისინი უნდა უარვყო. შეგიძლია სიჯიუტე დაარქვა, თუმცა ეს ერთადერთი გზაა იმისთვის, რომ ბოლომდე გაითავისო სიახლე — საკუთარ სამყაროში მოუხბმო და მოცემულობად არ მიიღო.

#GIRLBOSS

ჩვიდმეტის რომ ვიყავი, ქუსლიან ფეხსაცმელს ბანჯგვლიანი ფეხებით სიარული ვარჩიე. ჩემი ჰიგიენურობა პანკისას ნააგავდა. მამაკაცის პერანგები მეცვა, რომლებსაც „უოლმარტში“ ვყიდულობდი. თუ მამაკაცი კარს გამიღებდა, ყოველთვის ვენინალმდეგებოდი და თავს დამცირებულად ვგრძნობდი — „თავადაც შემოძლია კარის გაღება. ძალიან დიდი მადლობა!“ გულწრფელად რომ ვთქვა, ეს ფემინიზმის ბრალი სულაც არ იყო. უბრალოდ, უხეში ვიყავი.

ძალიან კარგად ვაცნობიერებ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, კარს სხვა გამიღებს თუ არა. ეს ნაკლებად დამოუკიდებელ ადამიანად არ მაქცევს. მაკიაჟს იმისთვის არ ვიკეთებ, რომ ხარკი გადავუხადო ქალის სილამაზის პატრიარქალურ იდეალს.

მაკიაჟი უბრალოდ თავს უკეთესად მაგრძნობინებს. ესაა Nasty Gal-ის სული: ჩვენ გვინდა თქვენთვის ჩავიცვათ და ვიცოდეთ, რომ ფუჭი არ არის იმაზე დახარჯული დრო, თუ როგორ გამოიყურებით. ჩემი აზრით, აუცილებელი არ არის გონიერებასა და სექსუალურობას შორის არჩევნის გაკეთება. შესაძლებელია ორივეს მიაღწიო. შენ ორივე ხარ.

2014 წელი ფემინიზმის ახალი ერაა, სადაც ამ საკითხზე ლაპარაკი საჭირო აღარ არის? ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ არის. ტყუილს არ ვიტყვი — დამამცირებელია, როცა როგორც უმაღლესი განათლების უქონელ ქალს მაქებენ, მაგრამ მივხვდი, რომ ყველაფერს აქვს თავისი დადებითი მხარე: ახლა შემოძლია შეხვედრებზე ჩემი ქუჩური განათლებით ხალხი გავაოცო. მე და სხვა უამრავი #GIRLBOSS-იც, რომლებზეც ამ წიგნში ვისაუბრებ, გოგოები, რომლებიც უკვე კითხულობენ ამ წიგნს, და რომლებიც ჯერ არ გამხდარან